წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 15

ქ. წალკა; **30.10.25 წ.**

სხდომას თავმჯდომარეობდა – ი. გიგინეიშვილი;

საკრებულოს 45 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 45 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, მელიტონ პაკელიანი, ჯემალი ბერიძე, ნუგზარი ჩამურლიევი, ლევონ მარკოსიან, ანტარამ მელტონიან, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, დავით კვარაცხელია, ლაერტ ტოროსიან,დიმიტრი ვახტანგიშვილი, ალექსეი მუხსიევი, იდა ბალაბანოვა, ზვიად ვანაძე, ემილ ხაჩატურიან, ლერიკ დელიანოვ, უშანგი ბოლქვაძე, რუბენ ანესიან, სარკის ოგანესიან, სარკის გინოსიან, ხაჩატურ მაზმანიან, მარინე ირემაძე, ბადრი ხოზრევანიძე, გრიშა რანიან, ვახტანგი შავაძე, გენად ბოლქვაძე, მამუკა გელაძე, ზვიადი ხორგუანი, ჯემალ დეკანაძე, გიორგი ვაშაყმაძე, როლანდ კახაძე, ფაიგ დანაჩიევი, გია ვაშაყმაძე, რამაზი ხინიკაძე, გია მარკოიძე, ტატევოს ტოროსიან, მარადი კახაძე, ლერი ფირცხელიანი, ედუარდ სტეპანიანი, ალექსანდრე შავაძე, რამინ ალახვერდოვი, ჯუმბერ მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: №25 წალკის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხატია პარასკევოვი.

სხდომა დაიწყო: 11 00 სთ;

სხდომა დასრულდა: 14:25 სთ;

დღის წესრიგი:

1. /№25 წალკის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხატია პარასკევოვის მოხსენება;

   მომხსენებელი: *ხატია პარასკევოვი, №25 წალკის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/*

2. განკარგულების პროექტი „ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა“

   /მომხსენებელი: *მელიტონ პაკელიანი, სხდომის თავმჯდომარე/*

3. განკარგულების პროექტი „სამანდატო დროებითი კომისიის არჩევა“;

   /მომხსენებელი: *მელიტონ პაკელიანი, სხდომის თავმჯდომარე/*

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა“;

   /მომხსენებელი: *მელიტონ პაკელიანი, სხდომის თავმჯდომარე/*

5. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა“;

   /მომხსენებელი: *ირაკლი გიგინეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე/*

6. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა“;
/მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე/

7. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა“;
/მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე/

8. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება;
/მომხსენებელი: ჯემალ დეკანაძე, საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე/;

9. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“
/მომხსენებელი: ჯემალ დეკანაძე, საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე/;

10. საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღება;
/მომხსენებელი: ჯაბა აბულაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე/

11. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევა“;
/მომხსენებელი: უშანგი ბოლქვაძე ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

12. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევა“;
/მომხსენებელი: უშანგი ბოლქვაძე ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

13. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევა“;
/მომხსენებელი: უშანგი ბოლქვაძე ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

14. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევა“;
/მომხსენებელი: უშანგი ბოლქვაძე ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

15. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა“;
/მომხსენებელი: უშანგი ბოლქვაძე ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

სხდომამ განიხილა:

1. №25 წალკის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხატია პარასკევოვის მოხსენება;

2. სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მოახსენა, რომ საკრებულოს მიერ არჩეული უნდა იქნეს საკრებულოს წევრთაგან ხმის დამთვლელი დროებითი კომისია, სამი წევრის შემადგენლობით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებაზე, დაესახელებინათ კანდიდატურები, დასახელდა შემდეგი კანდიდატები: მანანა გულედანი, გიორგი ვაშაყმაძე, სარკის გინოსიან;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა, რომელიც არჩეული იქნა ხმათა უმრავლესობით (44 მომხრე, 1 თავი შეიკავა);

სხდომის თავმჯდომარე მიმართავს არჩეულ დროებით კომისიის წევრებს, რომ მათ თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით უნდა აირჩიონ დროებითი კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, რისთვისაც გამოცხადდა შესვენება 5 წუთით. შესვენების შემდეგ ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ მანანა გულედანმა სხდომის თავმჯდომარეს წარუდგინა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი #1. (განკარგულება გ-119.11925303001 თან ერთვის)

3. სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მოახსენა, რომ საკრებულოს მიერ არჩეული უნდა იქნეს საკრებულოს წევრთაგან სამანდატო დროებითი კომისია, სამი წევრის შემადგენლობით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებაზე, დაესახელებინათ კანდიდატურები, დასახელდა შემდეგი კანდიდატები: ჯემალ დეკანაძე, მარინე ირემაძე, გენად ბოლქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამანდატო დროებითი კომისიის არჩევა, რომელიც არჩეული იქნა ხმათა უმრავლესობით (44 მომხრე, 1 თავი შეიკავა) ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი #2

სხდომის თავმჯდომარე მიმართავს არჩეულ სამანდატო დროებითი კომისიის წევრებს, რომ მათ თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით უნდა აირჩიონ დროებითი კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, რისთვისაც გამოცხადდა შესვენება 5 წუთით. შესვენების შემდეგ სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ჯემალ დეკანაძემ სხდომის თავმჯდომარეს წარუდგინა სამანდატო დროებითი კომისიის ოქმი #1. (განკარგულებაა: გ-119. 119253032 თან ერთვის)

4. სხდომის თავმჯდომარემ მელიტონ პაკელიანმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა. სხდომის თავმჯდომარის მოწოდებაზე, დასახელდეს კანდიდატები, საკრებულოს წევრმა უშანგი ბოლქვაძემ სხდომას გააცნო საკრებულოს 42 წევრის ერთობლივი განცხადება, რომლითაც საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელებული იქნა ირაკლი გიგინეიშვილი. სხდომაზე სხვა კანდიდატი არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე ირაკლი გიგინეიშვილმა განაცხადა: თანახმაა, კენჭი იყაროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატურა და საარჩევნო ბიულეტენში შესაბამისად შეტანილი იქნება ერთი კანდიდატი-ირაკლი გიგინეიშვილი. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ

შეადგინა ოქმი N3 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს, რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარედ 44 ხმით არჩეულია ირაკლი გიგინეიშვილი და გადასცა სხდომის თავმჯდომარეობა. (განკარგულება: გ-119. 119253033 თან ერთვის)

5. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა და აღნიშნულ თანამდებობაზე დაასახელა გოჩა ხაჩატურიანის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N4 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს, რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ 43 ხმით არჩეულია გოჩა ხაჩატურიან. (განკარგულებაა:გ-119. 119253034 თან ერთვის)

6. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და აღნიშნულ თანამდებობაზე დაასახელა ჯაბა აბულაძის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N5 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს, რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ 44 ხმით არჩეულია ჯაბა აბულაძე. (განკარგულება: გ-119. 119253035 თან ერთვის)

7. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და აღნიშნულ თანამდებობაზე დაასახელა რადიკ სარკისიანის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N6 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს, რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ 44 ხმით არჩეულია რადიკ სარკისიან. (განკარგულება: გ-119. 119253036 თან ერთვის)

8. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება. რის შემდეგაც საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ჯემალ დეკანაძემ საკრებულოს განუცხადა რომ კომისიას მიმართა უშანგი ბოლქვაძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს რეგისტრაციის შესახებ, ასევე ბადრი ხოზრევანიძემ ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს რეგისტრაციის შესახებ, რისთვისაც კომისიას გადასცეს ფრაქციის

სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციები განხილული იქნა კომისიის მიერ და შედგენილი იქნა სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნა. საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს გააცნო აღნიშნული კომისიის დასკვნა საკრებულომ ცნობად მიიღო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-სა და ფრაქცია „ხალხის ძალა"-ს დაფუძნება.

9. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა დაავალა საკრებულოს დროებით სამანდატო კომისიას, შეიმუშავოს განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" და დასამტკიცებლად წარუდგინოს საკრებულოს, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. განხილვის შემდეგ სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ჯემალ დეკანაძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი, საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (44 მომხრე, 0 წინააღმდეგი). (განკარგულება: გ-119. 119253037 თან ერთვის).

10. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღება, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა აბულაძემ საკრებულოს გააცნო წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესაბამისად გათვალისწინებული კომისიების შემადგენლობა, რის შემდეგაც საკრებულომ ცნობად მიიღო კომისიების შემადგენლობა.(დანართი: 5 ფურცელი)

11. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევა, რის შემდეგაც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ უშანგი ბოლქვაძემ და ფრაქცია „ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარემ ბადრი ხოზრევანიძემ ფრაქციის სახელით სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარადგინა მელიტონ პაკელიანის კანდიდატურა, სხდომაზე სხვა კანდიდატი არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N7 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს, რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ 44 ხმით არჩეულია მელიტონ პაკელიანი. (განკარგულება გ-119. 119253038 თან ერთვის)

12. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევა. რის შემდეგაც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ უშანგი ბოლქვაძემ და ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარემ ბადრი ხოზრევანიძემ ფრაქციის სახელით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარადგინეს ჯემალი ბერიძის კანდიდატურა, სხდომაზე სხვა კანდიდატი არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N8 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ 44 ხმით არჩეულია ჯემალი ბერიძე. (განკარგულება გ-119. 119253039 თან ერთვის)

13. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევა. რის შემდეგაც ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ უშანგი ბოლქვაძემ და ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარემ ბადრი ხოზრევანიძემ ფრაქციის სახელით სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარადგინეს ნუგზარი ჩამურლიევის კანდიდატურა, სხდომაზე სხვა კანდიდატი არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N9 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ 44 ხმით არჩეულია ნუგზარი ჩამურლიევი. (განკარგულება გ-119. 1192530310 თან ერთვის)

14. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევა. რის შემდეგაც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ უშანგი ბოლქვაძემ და ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარემ ბადრი ხოზრევანიძემ ფრაქციის სახელით ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარადგინეს ლევონ მარკოსიანის კანდიდატურა, სხდომაზე სხვა კანდიდატი არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N10 და წარუდგინა

სხდომის თავმჯდომარეს რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ 44 ხმით არჩეულია ლევონ მარკოსიან. (განკარგულება გ-119. 1192530311 თან ერთვის).

15. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ ახალარჩეული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა. რის შემდეგაც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ უშანგი ბოლქვაძემ და ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარემ ბადრი ხოზრევანიძემ ფრაქციის სახელით სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარადგინა ანტარამ მელტონიანის კანდიდატურა, სხდომაზე სხვა კანდიდატი არ დასახელებულა. სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ფარულ კენჭისყრას ბიულეტენების მეშვეობით და ავალებს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას ბიულეტენების დამზადებას, დარიგებას და კენჭისყრის პროცესის ხელმძღვანელობას, რისთვისაც აცხადებს შესვენებას 5 წუთით. შესვენების შემდეგ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად რეგისტრაცია გაიარა 44-მა საკრებულოს წევრმა. არჩევნების შედეგებზე ხმისდამთვლელამა დროებითმა კომისიამ შეადგინა ოქმი N11 და წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს რომელმაც სხდომას განუცხადა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ 44 ხმით არჩეულია ანტარამ მელტონიან. (განკარგულებაგ-119. 1192530312 თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე *ი. გიგინეიშვილი*